19.02.2014

საქართველოს სოფლის მეურნეობა
2013 წლის IV კვარტალი
(წინასწარი მონაცემები)

2013 წლის წინასწარი მონაცემებით, მეოთხე კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 1 239 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის მეოთხე კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებელს 9.7 პროცენტით აღემატება. აქედან ფურის სულადობამ 600 ათასი შეადგინა. ცხვრისა და თხის ჯამური სულადობა 767 ათასი სული იყო, რაც 3 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ღორის სულადობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 6.0 პროცენტით გაიზარდა და 217 ათას სულს მიაღწია. ფრინველის რაოდენობამ 2013 წლის მეოთხე კვარტალის ბოლოსათვის 6 511 ათასი ფრთა შეადგინა, რაც 5.7 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი კვარტალის მაჩვენებელს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე ფრინველის რაოდენობა 2007-2013 წლების IV კვარტალის ბოლოსათვის.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2007-2013 წლებში IVკვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ცხვრისა და თხის სულადობა 2007-2013 წლებში IVკვარტალის ბოლოსათვის

(ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ღორის სულადობა 2007-2013 წლებში IV კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ფრინველის რაოდენობა 2007-2013 წლებში IVკვარტალის ბოლოსათვის (ათასი ფრთა)



* წინასწარი მონაცემები.

წინასწარი მონაცემებით, 2013 წლის IV კვარტალში წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, რძის წარმოება 0.6 პროცენტით გაიზარდა და 101.5 მლნ. ლიტრი შეადგინა. ხორცის წარმოება 16.3 ათასი ტონა იყო, რაც 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6.9 პროცენტით ნაკლებია. 2013 წლის IV კვარტალში კვერცხის წარმოებამ 115.1 მილიონი ცალი შეადგინა, რაც წინა წლის ამავე კვარტალის მაჩვენებელზე 0.3 პროცენტით ნაკლებია. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2007-2013 წლების IV კვარტალში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

რძის წარმოება 2007-2013 წლების მეოთხე კვარტალში (მლნ. ლიტრი)



* წინასწარი მონაცემები.

ხორცი ს წარმოება 2007-2013 წლების IVკვარტალში (დაკლული წონა, ათასი ტონა)



* წინასწარი მონაცემები.

კვერცხის წარმოება 2007-2013 წლების IVკვარტალში (მლნ. ცალი)



* წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2012-2013 წლების მაჩვენებლები პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვის სულადობა 2012-2013 წლებში კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)

	2012				2013*			
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1 203.4	1 215.4	1 179.9	1 128.8	1 242.2	1 310.2	1 248.0	1 238.6
მათ შორის ფური და ფურ-კამეჩი	603.3	623.4	624.8	602.4	587.5	588.3	594.5	599.6
ღორი	155.6	190.6	261.4	204.3	308.2	311.2	330.6	216.7
ცხვარი და თხა	865.0	893.2	813.1	742.7	970.8	980.1	882.1	767.3
ფრინველი (ათასი ფრთა)	6 420.8	11 153.5	8 790.0	6 159.1	6 606.9	10 476.9	8 239.7	6511.1

* წინასწარი მონაცემები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2012-2013 წლებში

	2012				2013*			
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
ხორცი (დაკლული წონა, ათასი ტონა)	7.3	9.5	8.3	17.5	7.4	9.8	9.0	16.3
რძე (მლნ. ლიტრი)	101.7	209.8	177.0	100.9	102.2	197.1	181.7	101.5
კვერცხი (მლნ. ცალი)	111.1	135.4	112.0	115.5	122.1	125.2	100.3	115.1

* წინასწარი მონაცემები.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა).

შენიშვნა: დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2014 წლის 16 ივნისს.

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე ტელ.: (+995 32) 36 72 10 (500). E-mail: vtsakadze@geostat.ge info@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge